პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 184 (18426) სამშაბათი, 10 აგვისტო, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

მოსავალი — 82

პრესის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა

ლაკაპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, რომელმაც მოწონა ქვეყნის სასურსათო პროგრამა, თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება ჩვენს პრესას, ტელევიზიას, რადიომაუწყებლობას, წიგნის გამომცემლობებს.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებმა კონსტრუქციული წვლილი შეიტანეს საოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული მრეწველობის დარგების შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შემუშავებაში. გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში. გაშუქებული პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მუშაობა დასახული გეგმების რეალიზაციისთვის, სოფლის, მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. პრესა ანალიზებს საუკეთესო მეურნეობებისა და საწარმოების გამოცდილებას, აქტიურად უწყობს ხელს მის გავრცელებას, პრობაგანდას უწევს ქალაქისა და სოფლის შრომითი კოლექტივების, კომუნისტების ინიციატივებსა და წამოწყებებს.

დღეს ბევრი გაზეთი ბეჭდავს რუბრიკებს „განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი“, „სასურსათო პროგრამა საყოველთაო-სახალხო საქმეა“, „სასურსათო პროგრამის სტრიქონს მიღმა“ და სხვა. ქვეყნდება მასალები, რომლებშიც განხილულია პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამბავნაგები. ბრეზნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, ავრეთვე კომენტარები პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორების, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის მსმენელთა დასახმარებლად, მოცემულია პასუხები მშრომელთა კითხვებსა და წერილებზე. მთელმა რიგმა რედაქციებმა მოწონაგე მეურნეობებში მოაწყვეს სხდომები „მრგვალ მაგიდასთან“, რომლებიც მიეძღვნა სოფლის განვითარების საბიბლიოთეკო პრობლემებში, არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების დაძლევის გზების განხილვას. უკრაინის „რაბოჩაია გაზეთა“ რეგულარულად ბეჭდავს ცნობებს სოფლისთვის მაღალეფექტიანი ტექნიკის შექმნაში სამრეწველო საწარმოთა წვლილის შესახებ. „კომუნა“ (ლენინგრადი), „სტავროპოლსკაია პრავდა“ საქმის ცოდნით ანალიზებენ სოფლის ეკონომიკის პრობლემებს, ცვლილებებს, რომლებიც აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემაში ხდება. ხარკოვის საოლქო გაზეთებში „ვრასნო ზნამიამ“ და „სოციალისტიჩესკაია ხარკოვშჩინამ“ კონტროლი დაუწესეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ობიექტთა მშენებლობასა და რეკონსტრუქციას.

პრესის, რადიოს, ტელევიზიის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პარტიის სასოფლო რაიკომების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მრავალმხრივი საქმიანობა. მათს მეცადინეობაზე, ადამიანებთან მუშაობის უნარზე ხომ გადამწყვეტლად არის დამოკიდებული შრომითი უკუგება, პარტიის მიერ დასახული ამოცანათა შესრულება.

ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებში ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს მახალებმა შემოქმედ. მიზანმიმართულ ადამიანთა შესახებ, რომლებსაც უყვართ შრომა და თავს ეკუთვნის მათთვის გაბჭოვნებულ უბანს. მათ შესახებ ჟურნალისტებმა უნდა თქვან გულწრფელი, გულთბილი სიტყვები, ილაპარაკონ მკაფიოდ, ადამიანურად ნებელად. ჩვენი პრესის პირდაპირი მოვალეობაა მხარი დაუჭიროს სოფლის მშრომელთა ინიციატივას, პრობაგანდა გაუწიოს და დანერგოს მოწინავე გამოცდილება.

ПРАВДА

9 აგვისტოს მოწინავე

უურნალისტების მიერ დაწყებული შემოქმედებითი ძიება არ უნდა შენელდეს, როგორც ეს ხდება ხოლმე სხვადასხვა საგაზეთო კამპანიის დროს. თითოეულმა ბეჭდვითმა ორგანომ—მრავალტირაჟიანიდან ცენტრალურ გამოცემამდე — უახლოესი პერიოდისთვის ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი პარტიის მიერ დასახული ამ პროგრამის განხორციელებისათვის საერთო ბრძოლაში, რომელიც ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, გამონახოს შრომითს კოლექტივებში საქმის ვითარებაზე ზეგავლენის ახალი ეფექტიანი ფორმები. რედაქციების მუშაობის პრაქტიკაში საჭიროა მარჯვედ შევახამოთ სოფლის განვითარების პერსპექტიული პრობლემები ისეთი ყოველდღიური ამოცანების გადაჭყვეტის ოპერატიულ ანალიზთან, როგორიც არის საკვების დამზადება, მოსავლის აღება და ა. შ.

თავისი პირველი ნაყოფი სსრ კავშირის სასურსათო პროგრამამ უკვე 1982 წელს უნდა გამოიღოს. აი ამიტომ არის საჭირო, რომ პრესის პუბლიკაციები ხელს უწყობდეს კოლექტივების დარაზმვას მარცვლეულის, ხორცის, რძის, მინდვრებისა და ფერმების სხვა პროდუქციის შესყიდვის წლიური გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!“ — ასეთი რუბრიკა გაჩნდა ახლა მთელ რიგ გაზეთებში. პრესა უნდა იყოს მაწამოქმედებელი და მეცნიერულობის კულტურის ამაღლებისათვის, მიწის, საწარმოო ფონდების, მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, დანაკარგების აღმოფხვრისათვის, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ათვისების, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლში საუკეთესო სამოდელო შედეგების მიღწევისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების აქტიური ორგანიზატორი.

ჟურნალ-გაზეთების, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების გამოსვლები შესამჩნევ ეფექტს იძლევა, თუ დამაჯერებლად არის გაშუქებული წარმატების მიღწევის გზები, ნაჩვენებია სხვა კოლექტივების მიერ მოწონაგე გამოცდილების გამოძერებისა და განვითარების შესაძლებლობანი. პრესას შეუძლია და კიდეც უნდა უზრუნველყოფდეს შეჯიბრებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგების ფართო საჯაროობას, ცდილობდეს, რომ მიღწევებიდან ნაკლებ ყველგან გაკვეთილს ილებდნენ სამრეწველო.

რედაქციების მუშაობი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა სოფლად სოციალურ გარდაქმნათა ჩვენების, სოფლის მოსახლეობის სახნავ-საოფლისთვის და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პრობლემების ღრმად გაშუქება. ეს სასურსათო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. აქტუალური თემების გაშუქების დროს ჟურნალისტებს მოეთხოვებათ კომპეტენტურობა, იმის უნარი, რომ ჩასწვდნენ სოფლის მშრომელთა საჭიროებებს, გამონახონ გადმოცემის დამაჯერებელი ფორმა.

გაზეთების გამოსვლის სიღრმე და ქმედითობა პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ყურადღებას იჩენენ პარტიული კომიტეტები თავიანთი გამოცემებისადმი. სარედაქციო კოლეგიტიკების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა ზუსტად განსაზღვრა, ინფორმაციისა და პრობაგანდის სხვადასხვა ორგანოების მეცადინეობის კოორდინაცია, უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციების ეფექტიანობისადმი, ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მათი გამოყენებისადმი პარტიული კონტროლი — ეს და სხვა ფორმები და მეთოდები კარგი გამოდგა. კვლავაც უნდა განვითარდეს ყოველივე ის ახალი, საყურადღებო, რაც გაჩნდა განვლილი წლების მანძილზე პრესისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში. ეს პრესის აქტორატებისა და მასებზე, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მისი გავლენის გაძლიერების უტყუარი პირობაა.

სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განხორციელება საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეა. პრესის, თითოეული მისი მუშაკის მაღალი მოვალეობაა იყვნენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის მოწინავეთა რიგებში, სიტყვით და საქმით შეუწყონ ხელი პარტიის გეგმების რეალიზაციას.

60 საიუბილეო დამკვრელურ ვაჩეზე

ციხინვალის რაიონის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში პურეულს მკიან და კარგ მოსავალს იღებენ. თავთავიანები აქ 180 ჰექტარზე უთესიათ. საგეგმო 17 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 21-22 ცენტნერი მარცვალს იღებენ.

სურათზე: პურეულის მკა არცევის კოლმეურნეობაში; კომბაინერი ვ. ვალდეევი, მთავარი აგრონომი ნ. ტერაშვილი და კომბაინერი ხ. ბესაევი უანაში.

ვ. ბეგიშვილის ფოტო.

ბათუმი

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურების კოლექტივებმა, სანავსადგურო მეურნეობებმა სახალხო მეურნეობის ტვირთის დამუშავების მეორე კვარტალისა და ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმის გადამტებით დამუშავებულია ათითასობით ტონა სამეურნეო ტვირთი.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებით იმუშავეს სოხუმელმა და ფოთელმა მენავსადგურეებმა. ფოთელმა მენავსადგურეებმა კარგად მოაწყვეს რკინიგზელთა და მენავსადგურეთა ურთიერთშეთანხმებული შრომა, რის მეოხებითაც მეორე კვარტალის გეგმა 115 პროცენტით შესასრულეს. (საკ. კორ.).

ზესტაფონი

რაიონის მსხვილ სამრეწველო საწარმოებს წელს სერიოზული ზამაილი მოუვიდათ გაზაფხულის უჩვეულო წყალდადობის გამო. რამდენიმე დღით შეფერხდა მუშაობა ფეროშენადნობთა და კაბელის ქარხნებში, რის გამოც პროდუქციის გამოშვების დანაკლისმა მილიონობით მანეთი შეადგინა.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების უყარესად დამბული, ოპერატიული მუშაობის შედეგად სტენის მიერ გამოწვეული შეფერხებები უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრა.

ექვსი თვის შედეგების მიხედვით პროდუქციის გამოშვების დაკალება მრეწველობის მუშაკებმა 102 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 102,5 პროცენტით შეასრულეს.

განსაკუთრებით კარგი შედეგები აქვთ შორაპნელ მეელექტრონეებს. მათ ნახევარი წლის გეგმას 66.000 მანეთით გადაჭარბეს. თავდადებული შრომისათვის მაღლობას იმსახურებენ აგრეთვე მეტალურგები და მეკაბელეები. ეს კოლექტივები თანდათანობით ზრდიან ტემპს წლის მეორე ნახევარში უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. (საკ. კორ.).

ძვეყნის აღმშენებლობის მატიანეს შემორჩა სამგორის ველის გასარწყავების ეპოპეა. აგერ სამი ათეული წელიწადია, რაც აქ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნის ზღვა-მოსავალი მოპყავთ. ამ ნაკვეთებს, ცოტა არ იყოს, ჩვენთვის უცნაური სახელები ჰქვია. მინდვრებს ხომ არხთან დაკავშირებით ისსნიებენ: ეს მეორე არხის მინდორია, მესამე არხის მინდორია... და ეს სახელწოდებები ამაზე მიგვანიშნებს, რომ სახელი მაშინ დაიბადა, როცა სამგორის ურწყავ და ხრიოკ ველზე ივრის ზვირთებმა გაითამაშეს.

ახლა მეექვსე არხის მინდორში ვართ. გორდაბნის რაიონის სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მენინდვრეები აქ იღებენ ხორბლის მოსავალს.

ჰადი ჰა, საცაა დაამთავრებენ ალოობას სართიჭალელები. გამმულ კოკისპირულ წვიმებს რომ არ შეეშალა ხელი, აქამდეც მორჩებოდნენ. კარგი ხვავი დაუდგათ მინდვრის მშრომელებს, ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი ხორბალი გალეწეს. გეგმით კი 27 ცენტნერს ვარაუდობდნენ. გაკვირვებული ვარ, რომ ამ მეურნეობაში წინა ხუთწლედის ჰექტარობრივი მოსავლიანობა მხოლოდ 20 ცენტნერი იყო და მივხვდებით, თუ როგორ ახორციელებენ პრაქტიკულად სართიჭალელები სასურსათო პროგრამას.

— არც 35 ცენტნერია ჩვენთვის ზღვარი, — გვეუბნება სართიჭალის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბიჭიკო მუხაშვილი. ძალიან ცუდია, რომ ჩვენ თითქმის არ ვიყენებთ ჯვარედინად თესვის შესაძლებლობებს. შარშან ხუთ ჰექტარზე დავთესეთ ჯვარედინად და ახლა ყოველ ჰექტარზე 50 ცენტნერზე მეტი ხორბალი გავლეწეთ. მართალია ჯვარედინად თესვას ორმაგი შრომა სჭირდება, სათესლეებიც ორჯერ მეტი უნდა გვქონდეს და თესლიც ორჯერ მეტი უნდა მოვიმარაგოთ, მაგრამ გასაღ ხორბალი რადაც უნდა დავგროდეს ჯვარედინად უნდა დავთესოთ. წლეულს კიდევ გაგვიფუჭა ამინდმა თორმ 70-80 ცენტნერი ხორბალიც თამამად გალეწეთ თითოეულ ჰექტარზე — გვითხრა კარგი მოსავლით კმაყოფილმა მეურნეობის თავჯაცმა.

... კომბაინერები გურამ წამალაიშვილი და ნიდარ ქართველიშვილი ურთიერთს ეჯიბრებიან. ხან ერთია წინ, ხან მეორე და დაბინდებამდე მუშობენ, დღეში ერთიც და მეორეც 30-40 ტონა ხორბალს ლეწავს. როგორც გვითხრეს ალოობისას ისინი გასამრჯელოდ 500 მანეთს მიიღებენ, აგრეთვე თითოეულს მისცემენ ერთ ტონა ხორბალს, ხოლო ნამჯას იმდენს, რამდენიც საკუთარი პირუტყვისათვის ეყოფათ.

კომბაინერები, თავის მხრივ, მძღოლებს გვეი ბაბილურს და მუსტარ აბაზოვს, თემურ ჰაქსაშვილს და გიგი ქიტესაშვილს ემადლიერებიან. ყოჩაღად მუშობენ, არა ვცდებითო. ემადლიერებიან მზარეულებსაც, რომლებიც ნოყიერ სადილებს უმზადებენ.

ინჟინერ-მექანიკოსი ეიორგი გიგაური ფაბიზლადაა. დიდი ვაკაცობა მართებს, რომ კომბაინი მწყობრიდან არ გამოვიდეს და არ მოცდნენ. ერთი კი თქვეს გულისტკივილით, ლითონების შესაფუღებელი აპარატი არ გვაქვსო. ამის წინათ კომბაინის დეტალი გაფუქდა, კიდევ კარგი, მეხავთობეებმა გაგვიმართეს ხელი, თორემ მოვცდებოდითო.

ხვავიანი ალოობის ხალისი მემინდვრეებს ძალას ურჩევენ. ჩვენს ნაშრომს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს ვუძღვნითო, გვითხრეს სართიჭალელმა მხვნელ-მთესველებმა.

ჯ. ჟურხული,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ალოობა სამგორის ველზე

ერთიანი ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. ს. მიქელაძის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობისათვის და ოთხმოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ივანე სოლომონის ძე მიქელაძე დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 6 აგვისტო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების მეორე კონფერენციას

გულითადად მივესალმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების მეორე კონფერენციის მონაწილეებს.

თქვენი კონფერენცია შეიკრება ღირსშესანიშნავი თარიღის — კოსმოსური ეპოქის ოცდახუთი წლისთავის წინ, რომელსაც დასაბამი დაუდო 1957 წლის 4 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ. ადამიანის ენერგის ეს უდიდესი გამარჯვება მსოფლიოს ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენებს განეკუთვნება.

კაცობრობა სამართლიანად ამაყობს იმით, რასაც მიაღწია ამ ოცდახუთი წლის მანძილზე. კოსმოსის ათვისება ნამდვილად კოსმოსური სიჩქარით წარმოიმართა: დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრიდან, იური გაგარინის მიერ ჩვენი პლანეტის პირველი შემოვლიდან ეს უდიდესი კომპლექსებამდე და მრავალთვიან პილოტირებულ ფრენამდე, თვითონ, მარსსა და ვენერაზე ზემორ ექსპედიციებამდე.

დღეს კოსმონავტიკა უშუალოდ ჩაება სავსებით მიწიერი, სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაშიც, იგი გეოლოგისა და მეზღვაურის, აგრონომისა და მეტეოროლოგის, ქაჯშორგამბოლობის მუშაკის და ეკონომის, კარტოგრაფისა და ტყის მეურნეობის მუშაკის სიმდიდრე თანაშემწე გახდა.

თუ ახლო მომავალს შევაფასებთ თვალს, დღის წესრიგში დგება საკითხი, რომ კოსმოსურ სივრცეში სულ უფრო დიდი ორბიტული კომპლექსების ბაზაზე, სადაც ეკიპაჟები ერთმანეთს შეეცვლიან, შეიქმნას მუდმივად მოქმედი ლაბორატორიები. ნამდვილად უსაზღვროა ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რომელიც გაბედულად ლაშქრავს კოსმოსურ სივრცეებს!

ამაყოფილებს გეგმიერ კოსმოსის გამოკვლევასა და გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატებული განვითარება, რომელშიც შესამჩნევი როლი ეკუთვნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს თანამშრომლობა ფორმით მრავალფეროვანი და შინაარსით ერთიმ მდიდარია.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე უკვე იყვნენ პირველი საერთაშორისო ეკიპაჟები, რომელსაც კოსმოსის გზა გაუკვალა „ინტერკოსმოსის“ პროგრამამ, სოციალისტური ქვეყნები რომ ახორციელებენ. საბჭოთა ხომალდებითა და სადგურებით კოსმოსური ფრენა ჩვენ კოსმონავტებთან ერთად ფლიენ ჩეხეთ-სლოვაკეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, ვიეტნამის, კუბის, მონღოლეთის, ინდოეთის, ფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, ბრაზილიის, ბულგარეთ-ინდოეთ-ბულგარეთ-ინდოეთ-ბულგარეთ-ინდოეთ-

სამართალდაცვითი ორგანოები: გავაანალიზოთ, განვჭვრიტოთ, თავიდან ავიცილოთ

(დასასრული)

ლოვან მუშობაში. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალური კომისიები ნახევრად გზაზე ჩერდებიან — გაგზავნიან რა გამოვლენილ მუქთახორას ამა თუ იმ საწარმოში, სრულიადაც აღარ აკონტროლებენ უმნიშვნელოვანეს ეტაპს — სამუშაო ადგილს დამკვიდრებას. დამფიქრებელია ასეთი ფაქტიც: დოკუმენტურმა შემოწმებამ 418 პირისა, რომლებიც ინვალიდობად ირიცხებოდნენ და ამიტომ შინაგან საქმეთა ორგანოებმა პასუხისგებაში არ მისცეს მუქთახორობისთვის, გვიჩვენა, რომ მთგან ოფიციალურად მხოლოდ 40 ცხენ ინვალიდად, დანარჩენი 378 აკეთ შრომისუუნარობა არასდროს და არავის არ დაუდგენია.

ალბათ ეს შეიძლება კიდევ ერთხელ არ გავიხსენოთ, რომ საჭიროა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაც, რადგან იგი მძიმე დანაშაულთა ჩადენის მიზეზია.

დისციპლინის განმტკიცება პროფილაქტიკური ღონისძიებაა

მიმდინარე წლის თებერვალში დაარეგეს ორი სატვირთო ავტომანქანა, რომლებთაც სოხუმიდან გორში უკანონოდ მიქონდათ 11 ტონა მანდარინი. შემოწმების დროს გამოირკვა, რომ ერთ-ერთი სატვირთო მანქანის ფიქტიური ზედდები გამოწერილი ყოფილა ხილეულტეხილის მეურნეობის სამინისტროს გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოში. დოკუმენტურმა რევიზიამ ამ საწარმოში დიდი დატაცებანი აღმოაჩინა.

დატაცების მექანიზმს ადგენს გამოძიება, მაგრამ მთავარი მიზეზი უკვე ცხადია — არ არის მკაცრი სამეურნეო დისციპლინა. სოციალისტური საკუთრების დატაცების გახსნილ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი მოწმობს, რომ პრაქტიკულად თითოეული შემთხვევაში წინასწარ იქნება სამართალდარღვევის ხელმშეწყობი პირობები. ამ დასკვნას ადასტურებს წლის პირველ ნახევარში გამოვლენილი დატაცებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (მინისტრი — ვ. ა. სობოლევი), კვების მრეწველობის სამინისტროს (ამხ. რ. ჯ. კონცელიძე), მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. გ. ა. გამეცელიძე), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (ამხ. ჯ. ე. კუბალაშვილი), ხილბოსტნეულის მეურნეობის (ამხ. თ. კ. ჯაბადარი), ეგპრობის (ამხ. გ. ლ. ქობლიანიძე), ცეკავშირის (ამხ. ა. ნ. შავიშვილი) სისტემებში.

მაგალითად, დიდი ხანია დადგენილი და შესწავლილია თამბაქოს ფაბრიკებში დატაცების ხერხები, მაგრამ ჯერჯერობით მათი აღკვეთის რადიკალური ღონისძიებანი არ განხორციელებულა.

სხვა მაგალითი: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და პარტიის მაიაკოვსკის რაიკომმა მიიღეს სიგნალები იმის შესახებ, რომ მაიაკოვსკის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მოულოდნელი ადამიანებმა, როგორიც იყო სამინისტროსა და რაიკომის რეაქცია? პასუხში ეწერა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების თვალსაზრისით საეჭვო პირებს „კომბინატის ხელმძღვანელობა დადებითად ახასიათებს". არადა, საქმე ეხება საწარმოს, სადაც არც ისე დიდი ხნის წინათ გამოაშკარავეს სახელმწიფო სახსრების დიდი დატაცება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არაერთგზის მიუპყრია სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ყურადღება ასეთი შემამფოთებელი ვითარებისათვის: დატაცებებს, რომლებიც წლების მანძილზე გრძელდებოდა, ამხილებდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი მეტად დიდი მასშტაბისა ხდებოდა და დანაშაულნი ჩამბალი იყო ადამიანთა ფართო წრე.

ამასთან დაკავშირებით ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა ყველა დონის ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა ყოველივე იმისათვის, რაც ხდება მათს საქვეშეყვანილ ორგანიზაციებსა და საწარმოებში. პროფილაქტიკური შუშაობა ხელმძღვანელის დამატებით დატვირთვა კი არა, მისი პირდაპირი მოგალეობაა, რომელიც ჩაწერილია საუწყებო დებულებებში.

ყველა სამინისტროსთან - და უწყებასთან არსებული ნეგატიური მოგლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები შუშაობა უწმინარს ყოველის პროფილაქტიკური ხასიათის უნდა იყოს. საკონო კომპეტენტურად, დროულად გამოვავლინოთ შესაძლო ბოროტმოქმედების კერები, ავამაღოლთ შიდასაუწყებო საკონტროლო-საგრეხნო სამსახურების შედეგიანობა.

მთი როლი, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, განსაკუთრებით იზრდება სასურსათო პროგრამის კომპლექსური გადაწყვეტის ამოცანებთან დაკავშირებით. დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ზუსტი სისტემის შექმნა, როგორც სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა განსაზღვრა — მაკონტროლებელი და ადმინისტრაციული ორგანოების, განსაკუთრებით მათი რაიონული რგოლის მთავარი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა მოითხოვს ამ სამსახურების შუშაობის თვისებრივ გარდაქმნას: საჭიროა ღრმად შეკვლისწალოთ აგროსამრეწველო კომპლექსების საქმიანობის ძირითადი მომენტები, გავარკვიოთ მათი ფუნქციონირების სამართლებრივი ნორმები, დავამყაროთ საქმიანი კონტაქტები სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა ხელმძღვანელობასთან.

მთელი ამ შუშაობის საბოლოო მიზანია შესაძლო დარღვევათა პროფილაქტიკა, იმათი დროული გამოვლენა, ვინც შეეცდება ანგარების მიზნით ისარგებლოს გარდაქმნათა პერიოდის სიძნელეებით.

ავტორიტეტს საქმით განამტკიცებენ

კოშკეტენგურგა და პროფესიონალიზმი, ადამიანის ბედით ცოხვეი, მხუბრალე დაინტერესება, ადამიანებისადმი ყურადღება, სისტემაკე მოვალეობათა შესრულებისას — დღეს, როგორც ყოველთვის — ასეთი მოთხოვნები აქვს წაყენებული კანონის სადარაჯოზე მდგომ თითოეულ მუშაკს, მართლწესრიგის დაცვის მთელ პრაქტიკას, აი რატომ იყო, რომ ბიუროს სხდომაზე განსაკუთრებით აღინიშნა შეურიგებლობა ამ ნორმებისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი, რომლებიც ლაბავს სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტს.

აღინიშნა, კერძოდ, რომ შეუწყნარებელია გამძიმებისა და სასამართლო გარჩევის გაჭიანურება. დასასრულს ასეთი მაგალითი: წლობით გაჭიანურდა „საბედნიერო" დიდი დანაკლისს გამო სისხლის სამართლის საქმის დამთავრება, რომელიც თბილისის პროკურატურამ აღძრა.

იშვიათი როდია შემთხვევები, როცა საქმის უხარისხო გამოძიების, მილიციის შუშაკთა ფორმალიზმისა და პროფესიული უმეცრების გამოვლინების გამო პრინციპული შეფასების ნაცვლად, პროკურატურის ორგანები მიმართავენ დაუსაბუთებელ აცილებას, საქმეს ერთი რაიონიდან მეორეს გადაასვამენ, რაც საბოლოო ანგარიშით აუანურებს გამოძიებას.

საგულისხმოა ასეთი ფაქტიც, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ვ. ვ. იოსელიანმა, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან უბანს კურატორობს, როგორიც არის სამოკურორო ზედამხედველობა სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა გარჩევისადმი, ეჭვს თვეში მიიღო მხოლოდ 25 განმცხადებელი, მაშინ როდესაც მისმა კოლეგებმა და თვით რესპუბლიკის პროკურორმა ათჯერ მეტი მომსვლელი მიიღეს. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანებში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია საერთოდ სერიოზულ საყვედურებს იწვევს. ამთ ბევრად ახსნება პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ისეთ საკითხებზე განცხადებების რიცხვის ზრდა, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება.

ეს ფაქტები სხდომაზე შეიფასეს როგორც გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის, ზოგიერთ შემთხვევაში კი — სამართალდარღვევის პირდაპირი წაყრუების მაგლითები.

მწვავედ დასცა სხდომაზე საკითხი სამართალდაცვითი ორგანოების კადრების მკაცრი შერჩევისა და აღზრდის შესახებ. არკამპეტენტური, არაკეთილნებისიერი მუშაკებისადმი შეურიგებლობა უნდა დაედოს საფუძვლად აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების საკადრო პოლიტიკას, რამეთუ კანონიერებისაგან ძალაუფლებით მოსილი ადამიანის თითოეული გადაუგვება იწვევს ფართო რეზონანსს, მასების თვალში ლახავს მისი კოლეგების ავტორიტეტს.

ანლახან სახელმწიფო ავტონინპექციის შუშაკთა ატესტაციის დროს მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ 12 ავტოინსპექტორს მიმართ იქნა გამოტანილი უარყოფითი დასკვნა, ისიც სხვა სამსახურში გადაყვანის წინადადებით. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკთა საქმიანი და პირადი თვისებების ასეთი შეფასება, პირდაპირ უნდა თქვეს, არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ სამსახურის მუშაკების მიმართ ჩვენს საზოგადოებრობას ჯერ კიდევ ბევრი პრეტენზია აქვს.

კადრების შერჩევაში ხარვეზები უნდა აღმოფხვრას ისეთმა ღონისძიებამ, როგორიც არის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა დამტკიცება პარტიის საკადრო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე. მას უნდა მიენიჭოს პარტიული ატესტაციის ხასიათი, რათა ამაოდ ლეს დისციპლინა შინაგან საქმეთა ორგანოებში, გზა გადაეღობოთ მთს რიგებში უღირსებს.

პარტიის საკადაკო და რაიონულმა კომიტეტებმა, აღინიშნა სხდომაზე, აგრეთვე უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილებზე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა სამსახურებრივ ატესტაციას.

პროგლემები, მსჯელობანი, წინადადებანი კამათის მონაწილეთა გამოსვლებიდან

ბ. მ. ბარაბაძმ, საქართველოს სსრ პროკურორი: „აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებასთან, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შეიერ დასახული ამოცანებთან დაკავშირებით პროკურატურის, ადმინისტრაციული ორგანოების ყველა სამსახურის მუშაკებმა ფიზიკურად უნდა შეისწავლონ აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობის სამეურნეო და სამართლებრივი მეკანიზმი ყველი ფრონტზე. მიზანშეწონილია ეს საკითხი გადაწყდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტთან ერთად. ადმინისტრაციულ ორგანოების კადრების ეკონომიკური ცოდნის გაორმაგება გახდება აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში საკანონმდებლო ბაზის ეფექტიანობა. ადმინისტრაციულ ორგანოებს საკადრო ბაზა ამ სფეროში ეფუძნებოდეს ადგილობრივ ადამიანებს, ეს ეფექტურ ფორმად ითვალისწინებს ადგილობრივ ადამიანთა ინტერესებს, ეფუძნება ადგილობრივ ადამიანთა ინიციატივას

კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია.

ვ. ი. ლენინი.

„სათბობის დეფიციტი ხულ უფრო მაგალითს, ეს კი აუცილებელს ხდის მკაც�d მოვკიდოთ ხელი მცირე და საშუალო მდინარეების ენერგიის გამოყენების ამოცანის ადგილობრივ შესრულებას, ადგილობრივ ადგილობრივ ენერგიის ეფექტიანობას. ... აქ თავისი სიტყვა მეცნიერებამ უნდა თქვას“.

ე. ფეფარდნაძის მოხსენებიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე, 1982 წ. 12-14 მაისი.

მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარების სადღისო პრობლემები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესებების ამოცანის განხილვისას ენერგეტიკის განვითარების ერთ-ერთად მიმართულებათა პარალელურად მიზანშეწონილად ცნო საქართველოს მცირე და საშუალო მდინარეების ენერგეტიკული ათვისების პრობლემის შესწავლა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ გადაწყვიტა ალნიშნული პრობლემის გარშემო აზრთა გაცვლა-განხილვა საბრძოლველ ბრიგადა „ბრგვალ მაგიდასთან“ მოეწვია რესპუბლიკის წამყვანი მეცნიერი და პრაქტიკოსი ენერგეტიკოსები: საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა ნიკოლოზის ძე ბოლკვაძე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკოლაზ მოწონელიძე, „საქმთავარენერგოს“ მმართველი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი იური ბედია, „საქჰიდროენერგოშენის“ „ტრესტის მთავარი ინჟინერი გიორგი შალამბერიძე.

რედაქციის დავალებით „ბრგვალ მაგიდასთან“ საუბარს წარმართავს გაზეთის კონსულტანტი ჰიდროენერგოშენებლობის დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თამაზ ბოხუა.

თ. ბოხუა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის [illegible] შუამბრძოლებელ [illegible] ენერგეტიკული პროგრესის [illegible] ენერგეტიკულ [illegible] ... ენერგეტიკულ [illegible] ... ენერგეტიკულ [illegible] ...

მეცნიერი, პედაგოგი, მოღვაწე

პროფესორი

ი. მიქელაძის

დაბადების 80

წლის თავი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ირაკლი მიქელაძე 80 წლისაა. მისი სახელი და მრავალმხრივი მოღვაწეობა ფართოდ არის ცნობილი საქართველოს საზოგადოებრიობისათვის, ჩვენი ქვეყნის საგეგმო ორგანოების მუშაკებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა ფართო წრეებისათვის, რომელთა რიგებსაც იგი ამშვენებს.

ი. მიქელაძე დაიბადა დიდად განათლებული ინტელიგენტების — სოლომონ მიქელაძისა და იულია ჩხეიძის ოჯახში. მამა იურისტი იყო, დედა კი მუსიკის მასწავლებელი და აღმზრდელი.

ი. მიქელაძემ 1921 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1926 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორები ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი გეხტმანი, ლეარსაბ ანდრონიკაშვილი, შალვა ნუცუბიძე, ბიძინა რამიშვილი და სხვა გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და ეროვნული მოღვაწენი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. მიქელაძის შრომითი მოღვაწეობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. სახელმწიფო ორგანოებში მან მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის სშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მთავარი ეკონომისტის თანამდებობაზე. შემდეგ იგი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, სასაქონლო ბირჟაზე საქმიანობდა.

1929 წლიდან მოყოლებული 48 წლეზე მეტი ხნის მანძილზე ი. მიქელაძე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1954 წლიდან 1977 წლამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უკავია. ამრიგად, თითქმის მთელი ათი ხუთწლედის მანძილზე — პირველი ხუთწლედის (1928/29 — 1932/33 წლები) დასაწყისიდან მეათე ხუთწლედამდე (1976—1980) იგი საგეგმო ფრონტზეა და სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურობასთან, აქტიურად მონაწილეობდა იმ გეგმების შედგენასა და შესრულებაში, რომელთა განხორციელებით საქართველო მფის რუსეთის ყოფილი განაპირა ჩამორჩენილი აგრარული მხარიდან მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობის პერიოდში ი. მიქელაძე მონაწილეობდა მრავალი ობიექტის დაპროექტებასა და დასაბუთებაში, იცავდა მათ საკავშირო ორგანოებში (მეტალურგიული, საავტომობილო, აზოტოვანი სასუქების, კერამიკული მილების და სხვა ქარხნები). როგორც ნამდვილმა პატრიოტმა მეცნიერმა და განსაზღვრული საქართველოს კეთილდღეობისათვის დაუხრეტელმა მებრძოლმა თავისი მოღვაწეობით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის დაგეგმვისა და თვით მეურნეობის განვითარებაში.

რესპუბლიკის საგეგმო ორგანოში ი. მიქელაძის მოღვაწეობა განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ იგი პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას და ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერი მკვლევარი. მისი პირველი მეცნიერული პუბლიკაციები 1927 წელს გამოჩნდა ჟურნალ "საქართველოს ეკონომისტში" და ეხებოდა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მისი განვითარების ტენდენციებს, სიძნელეებსა და საჭიროებებს. იქიდან მოყოლებული ი. მიქელაძეს დღემდე არ შეუწყვეტია საქართველოს ეკონომიკის, მისი განვითარების დაგეგმვის პრობლემების ღრმა მეცნიერული კვლევა.

ი. მიქელაძემ 1940 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე "საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკული მეურნეობის ძირითადი საკითხები", 1960 წელს კი წარმატებით იცავს დისერტაციას ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე "საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება". 1961 წელს ი. მიქელაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1969 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

დიდია ი. მიქელაძის წვლილი ქართული და მთლიანად საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბევრი მისი ნაშრომი მოსკოვის გამომცემლობებმა გამოუშვეს წიგნებად, მისი სტატიები დაბეჭდილია საკავშირო ჟურნალებში რუსულ ენაზე, რითაც ხელმისაწვდომი გახდა ჩვენი ქვეყნის ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

ი. მიქელაძის კალმის ეკუთვნის ისეთი ღრმა მეცნიერული გამოკვლევები, როგორიცაა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება" (ორ გამოცემა რუსულ ენაზე, 1959 წ. — თბილისში და 1964 წ. — მოსკოვში), „საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები" (1966 წ.), „საქართველოს სსრ სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები" (1972 წ.), „ტერტორიული დაგეგმვის პრობლემები" (1980 წ.) და სხვ.

1975 წელს ი. მიქელაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია წიგნის — „სამეფოთა საქართველოს ეკონომიკა" თანაავტორობისათვის.

ი. მიქელაძე თავისი დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობით აკადემიკოს სამეფოთა ეკონომიკურ მეცნიერებას, ამდიდრებს მას თავისი ღრმაშინაარსიანი თეორიული გამოკვლევებით, რომელებსაც ამავე ღრის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სამეურნეო პრაქტიკისათვის. მისი შრომები, ისევე როგორც თვით ი. მიქელაძე — მრავალი წლის მანძილზე „პროფესორი თავრობაში" (ასე დაწერა მასზე ცნობილმა იტალიელ პუბლიცისტმა აუგუსტო ლივიმ 1972 წელს) — განასახიერებენ მეცნიერებისა და საქართველოს პრაქტიკის მჭიდრო კავშირს.

ი. მიქელაძის ნაშრომებში განხილულია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მრავალი პრობლემა, მათ შორის სახალხო მეურნეობის ტემპები და პროპორციები, სოციალისტური კულავწარმოების თავისებურებები, საწარმოო ძალთა განვითარება და დაწლგება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილი და როლი შრომის საკავშირო დანაწილებაში მისი მეურნეობის კომპლექსურ განვითარებასთან კავშირით, სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება, ძირითადი და საბრუნავი ფონდების რაციონალური გამოყენება და სხვა მრავალი.

თავისი მეცნიერული გამოკვლევების შედეგები და ზეციდეფულებები მან წარადგინა მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმსა და სამეცნიერო სესიიზე, სადაც იგი გამოდიოდა მოხსენებებით.

აკადემიკოს ი. მიქელაძის მრავალმხრივ საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელსაც ღღემდე განაგრძობს. 1930 წელს იგი აქ ეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტად მიიწვიეს, ხოლო 1937 წლიდან თითქმის მთელი ოთხი ათეული წლის მანძილზე განაგებდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრას. 1954-1955 წლებში იგი ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანიც იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს ი. მიქელაძე კითხულობდა სახალხო მეურნეობის დაგეგმვას, სმრეწველო-საწარმოთა ორგანიზაციისა და დაგეგმვის, სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის კურსებს. მაგრამ მან კიდევ უფრო მეტი, დიდი ეროვნული საქმე გააკეთა იმით, რომ შექმნა ქართელ ეროვნულ პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო — „სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა" (1946 წ.), მშობლიურ ენაზე აამტყველა ამ საგნის ცნებები. ამ წიგნზე აღიზარდა ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის მრავალი თაობა.

ი. მიქელაძის დიდი ღვაწლი მუშაობის არა მხოლოდ პრაქტიკოს ეკონომისტთა, პრამედ აგრეთვე მეცნიერ-ეკონომისტთა კადრების მომზადებაში. იგი წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე და მისი უცვლელი წევრია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. მან მომზადა და სამეცნიერო სარბიელზე გამოიყვანა ათობით მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი ხელმძღვანელობით, საკვალიფიკაციო შრომების რეცენზირებით, ოპონირებით, რისთვისაც მას ხშირად იწვევდნენ ქ. მოსკოვში, ბაქოში, ერევანში და სხვა ქალაქებში.

უკვე 55 წელია ი. მიქელაძე უანგაროდ, ერთგულად, თავგანდებით და დაუცხრომლად ემსახურება ჩვენი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. მისი, როგორც მეცნიერისა და კომუნისტის (იგი სკკპ წევრია 1946 წლიდან), სახელმწიფო მოღვაწისა და პედაგოგის საქმიანობა სათანადოდ დაფასა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორგენინი, ორი სპატაკი ნიშნის ორდენით და მედლებით. სულ ახლახან მიგიღეთ სასახელოული ცნობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის აკადემიკოსი ი. ს. მიქელაძე დაჯილდოდგა ხალხთა მეგობრობის ორდენით. მას მიღებული აქვს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, საქართველო სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საავტომობილო საზოგადოება „ცოდნის" მრავალი მადლობა და ჯილდო.

აკადემიკოსი ი. მიქელაძე უზადოდ შემკული ქართული რაინდულობა და ადამიანური თვისებებით: ინტელიგენტი შინაგანად და გარეგნულად, თავმდაბალი, გულისხმიერი, მეგობრული, კეთილი და ტაქტიმოუბარი. ყოველივე ამან მეცნიერს დიდი სიყვარული და აუტორიტეტი მოუპოვა საზოგადოებაში.

აკადემიკოს ი. მიქელაძეს ვუღოცავთ ღირსშესანიშნავ იუბილეს, მთავრობის მადლ ჯილდოს, და ვუსურვებთ მრავალ წელს ჯანმრთელობას, შემოქმედებითს სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ჩვენი საშობლოს საკეთილდღეოდ.

ვ. ალექსაძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რევანში, მაგრამ...

გუშინ თბილისის „დინამომ" 6 აპრილის „ზენიტთან" 1 წრის გამოტოვებული მატჩი გამართა საკუთარ მოედანზე. ამ შეხვედრამ იმითაც გამოიწვია დიდი ინტერესი, რომ 4 დღის წინათ თბილისელებმა სწორედ ამ გუნდთან ლენინგრადში მეორე წრის კალენდრით გათვალისწინებულ მატჩში იწვნიეს დამარცხების სიმწარე (1:3).

და აი, გუშინდელი შეხვედრის პირველი ტაიმის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ თბილისელები სარეკვანშოდ იყვნენ გაწყობილნი. ჯერ იყო და გუდაკეშვა ძლიერი დარტყმით ბურთი მეტოქეთა კარის ძელს მოახვედრა. ამას მოჰყვა მისივე მახვილგონივრული გადაცემა, ბურთს საჯარიმოში მაჟყვა შეხვედრა, მეკარის პირისპირ დარჩენილმა დაარტყა და კვლავ ძელი... უკანკალებელ ბურთს მიუსწრო სულ ავეკლილიმ და თავურთი გახსნა ანგარიში — 1:0. ეს მოხდა მატჩის მეოთხე წუთზე. ზუსტად 13 წუთის შემდეგ ცავამ მარჯვე გადაცემა გაკეთა და შეგელოთან ანგარიში გაზარდა — 2:0. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში მასპინძლებმა ერთთან დუნედ ითამაშეს, ურთიერთმოძალებებში შესაძლებელად დაირღვა სიზუსტე, დაცვაც ვეღარ უმკლავდებოდა გაკეთილშეგენილ ლენინგრადელებს და 83-ე წუთზე ეკლოვცავა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიშში სტვინა შეამცირა. საბოლოოდ მაინც რეკანშიმ 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. მაკერად „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მუნდლიძე, პაიკიძე, ჩიკავიძე, ბიზანიშვილი, მეჯინი, ფარასელია, სვანაძე, სულთანიძე, ბუცაფეი (მეცხი), ცავა (ჯობაძე), შეხვედელა.

რაც შეეხებათ ქუთაისელ ტორპედოელებს, მათ კიდევ ერთ ვასვლითს შეხვედრამდე („ზენიტთან") ივაკეკაცეს. ისინი აბჯარადაც ადგებენ მატჩს. (გიორგენი ხარკოვის „მეტალისტთან" მათ შეხვედრა), მაგრამ შეძლეს ძალების მაქსიმალურად დაპაბვა, ერთი წუთითაც კი დაუყრიათ ფარხმალი და თამაშის ბოლო წუთზე ა. კვერნაძემ ანგარიშში თანაფარდობა აღადგინა — 1:1. ახლა ქუთაისელებს კიდევ ერთი გასვლითი შეხვედრა უწევთ („ნეფთჩისთან" — 16 აგვისტოს), შემდეგ კი შესაბამისად „ყაირათის" (დ: „ფახთაქორს" უმასპინძლებენ (24 და 28 აგვისტს). „დნეპრთან" ქუთაისის „ტორპედომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ქანთარია, ერმა, ჭილაია, ბელიძე (ბურკაძე), კურტახანე, ქორიძე, ჩქარეული, ალორდალიე (გაბიჩვაძე), ალორდანია, დარეჯანი, ა. კვერნაძე.

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოცე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი"-„კიევი" „დინამო" 1:0, მინსკის „დინამო"-„არარატი" 1:1, ცსკა-„სპარტაკი" 0:2, „შახტიორი"-„ყაირათი" 3:2, „ყუბანი"-„ფახთაქორი" 2:2, „მეტალისტი"-„ნეფთჩი" 2:1, მოსკოვის „ტორპედო" — მოსკოვის „დინამო" 1:1.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

					თ.	მ. ფ. წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მ)	19	12	5	2	35-20	29
„მეტალ."	19	9	5	5	28-16	23
„არარატი"	19	8	7	4	25-24	23
„დნ." (თბ)	18	9	4	5	31-28	22
„ზენიტი"	20	7	7	6	25-22	21
„დნ." (კ)	18	7	6	5	25-16	20
„სპარტაკი"	18	7	6	5	24-17	20
„დნეპრი"	19	6	8	5	21-22	20
„ფახთაქ."	19	6	7	6	21-22	19
„დნ." (მ)	19	7	4	8	23-23	18
„ყუბანი"	18	6	6	6	24-22	18
„ტორპ." (მ)	18	6	5	7	17-16	17
„ჩერნომ."	18	4	9	5	16-17	17
ცსკა	19	6	3	10	21-28	15
„ყაირათი"	19	4	7	8	23-31	15
„ნეფთჩი"	19	5	4	10	24-35	14
„ტორპ." (ქ)	19	8	7	9	22-31	13
„შახტიორი"	18	3	6	9	15-25	12

მკითხველს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე: ესაა არის პირველი წრე დამთავრდა და უკვე ისე, როგორც არასდროს, ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ერთ ნაწილს ფრეთა ლიმიტი (10) ამოწურვაზე აქვს. „ჩერნომორეცს" უკვე ცხრა მატჩი აქვს ფრედ დამთავრებული და... მეთერთმეტე ფრე ოდესელთათვის დამარცხების ტოლფასი გახდება, „დნეპრს" 8 შეხვედრა აქვს ფრედ დამთავრებული, „არარატს", „ფახთაქორს", „ყაირათს", ქუთაისის „ტორპედოსა" და „ზენიტს" — 7-7... და ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ამ კოლექტივებიდან ამჟამად კარგ ადგილზე მყოფმა კოლექტივებიდან ერთ-ერთ ან ორ ეერცხლის მედალი.

ზ. ზალოლაზვილი
(საქონფორმის კ

ევრეკა" და "ანა
ჩვენი მსოფლიო

ნიუ-იორკის „ჯაიანტის" დიდონზე გიმნასტა ფეხბურთელი მატჩი ევროპისა და დანარ მსოფლიოს ნაკრებ გუნდებსა რის. ამ შეხვედრის მთელი მოსაკალი გადაეცემა გიორგ ბული ერგების ორგანიზაციას. ზეთა ფონდში და იგი მოხმარ ბა გამეთარებადი ქმეულნაკ ზარდ თაობას, რომელიც ეკ რეს გასაჭირშია.

შეხვედრა დამთავრდა ევრ ფეხბურთელთა გამარჯვებით 3:2 (0:2). ეგროპანის ნფეტბ მადგენლობა ასეთი იყო: (იტალია), ეკოლი (ბოლონ პეცეი (ესპანეთი), ბეტანბა (ბერ, კანტანინი, ტარიელი, (ფუგოსლავია), კოელეო (ესპ თი), ანტონიონი, ტარიელი, სი (სამეგი — იტალია), ბ (ბოლონეთი), ბლოხინი (სსრ შარი), მეორე ტაიმში ძოგი, კენნაუერი, ბიზეეი და ბლ ნეიესენმა (ჰოლანდია), (ინგლისი) და პლატინი (ფ გეთი). ევროპელთა მეწარ იყო ი. დერევალი (ბერ). ფ ჩენი მსოფლიოს ნაკრების ნ დგენლობაში იყვნენ: ბუნდ პიტანი პელე (ბრაზილია), ფ თვე ნკოხო (კამერუნი), ეკ რი, სოკრატესი, ზეკი, ო (სამეგი — ბრაზილია), რომ (კოლუმბია), ბელუში (ალ სანჩესი (მექსიკა), დუარტ რუ), კინლია (აშშ). ითა აგრეთვე ალ-ფაგბლიმ (კუვ და დეიგისმა (აშშ). გუნდის რონელი იყო ბრაზილიელ ტანა.

მსოფლიოს ნაკრების წევ გან ბურთები გაიტანეს ზეკ ბელეშმან, ევროპელთაგან — ნმა, პეცეიმ და ანტონიონმ.

ასი საათი ვერტიკალით

სოფიდან ამდენი დრო ჰიერდათ ქართველ მთამსვლელ რომ დაეძლიათ „დავთი ალ ნეპალის" მწვერვალის (3845 მ ურთულესი კედელი. ... ჩემპიონატის ფარგლებში ... ვანი კლასის ეს საკონკ ასვლა განახორციელა ექსპ ციამ საქართველოს დამსახ ბული მწვრთნელის გიგი ... ლიშვილის ხელმძღვანელ მოიერთმეთა ჯგუფში ... ნენ ტრიელ ლუკაშელი, ... ჭიკინაძე, ირაკლი გელდიანი ... დავთი თარხნიშვილი, ... ლეხსაშელი და თამაზ ... ნიძე. გუნდს ასვლისათვის ... დებდნენ დიმიტრი შარაბ და რონან გიუტაშვილი.

კლდოვან კლასში დაჭ ... ლია 4200 მეტრ სიმაღლეზ ... ვლები. „დავთი ალმაშენებ მწვერვალი რამდენადმე ... ლია, მაგრამ მახასიათებე ... ერთობლიობით მაინრეტ ... თელის უმაღლეს კატეგორ ... მიეკუთვნება. რელიეფის მრა ... ფეროვნება, რბილი კლდ ... ქანები იქნებოდა ეს თუ კ ... მოყინული უბნები, მთამსვლ ... საგან არა მარტო კარგ ფიზ ... წრთობასა და დიდ ნებისყ ... არამედ ყოვლმხრივ ტა ... მომზადებასაც მოითხოვდა.

განსაკუთრებით რთული ... მოიხსნა მარშრუტის ბოლო ... დასმეტრიანი მონაკვეთი. ... დელს ცალკეულ უბნებზე ... დაახლოებით 400 მეტრი) ... უარყოფითი დაკნება.

სპეციალისტების ერთსულ ... ნი აზრით, „დავთი ალმაშენებ მწვერვალის დაპყრობა ... შეფასებას იმსახურებს, ... ექვსი წლის მანძილზე გ. ... ველიშვილის ხელმძღვანე ... ბით ექსპედიციამ განახორ ... ხუთი ურთულესი ასვლა ... კავშირის ჩემპიონატის ფარგ ... ში. მათ აქტივშია ორი ... და ორი ეერცხლის მედალი.

ზ. ზალოლაზვილ
(საქონფორმის კ

სატურნირ
ორბიტა

ფეალჯოგაარდოგა. ეკვადო ... ქალაქ გუაიაკილში დამთავ ... მსოფლიო ჩემპიონატი. სულ ... ჯოთა სპორტსმენებმა ... ჯიბრეულობაში მოიპოვეს 5 ოქრ ... ვერცხლის და 4 ბრონზაოს მედ ... ამერიკის შეერთებული შტატ ... სპორტსმენებმა — შესაბამისად ... 11 და 10, ბერმანიის დემოკრ ... ული რესპუბლიკის წარმომად ... ლებმა — 12, 9 და 5.

ქიუ-დო. ბელსინკში დამთ ... და სტუდენტ სპორტსმენთა ... ლიგის პირველ-ბუნდესი ... იაპონის ნაკრებმა პირველობ ... იპოვა, ბრაზილიელები მეორე ... გიგზე გამოვიდნენ, სხვ კაც ... სპორტსმენები — მესამეზე. ... ასპარეზობაში საბჭოთა ძალ ... ტებმა 2 ოქრო, 1 ვერცხლ ... 2 ბრონზაოს მედალი მოიპო

კრივი. დონეცკში დამთავრ ... საკავშირო ჩემპიონატში წონ ... კატეგორიის მიხედვით პირ ... ადგილები დიაკვეს: რ. ხუს ... დინოვმა (ჩელიაბინსკი), ი. ... სანდროვმა (ნეკინობისკი), ს. ... ტრიანმა (ალოვაკანი), ს. ნ ... ზოვმა (ყარაგანდა), ვ. რიბ ... (მოსკოვი), ვ. შიმოვმა (ყ ... ვი), ი. აკოპკოხინმა (ნ ... ვ. ლაპეევმა, ვ. მელნიკმ ... ვე — ჩეზოესარი), ა. კოპ ... (ვლადივოსტოკი), ა. იგ ... (დონეცკი) და ა. ლუქსტინმ ... კოვი).

რედაქტორი
ვ. ბედინეიშვილ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

ძუთაისელები ო. შალიკიანი და ლ. დათუნაშვილი, ხაშურელი მ. კიკნაძე, ჭორელი ე. მდივანოვი ბეკეთხეებიან: როგორ ხდება სამაგირო სახელმწიფო ან კოოპერაციულ ბინით უზრუნველყოფა, როცა ქალაქის რეკონსტრუქციის ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ოჯალაქეს საცხოვრებელ სახლს უნარეკენ?

აღნიშნული საკითხი რეგლამენტირებულია კანონით, კერძოდ, განსაზღვრულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 61-ე მუხლით, რომელიც მოქმედებს 1962 წლის პირველი მაისიდან და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კანონთა კოდექსის 324-ე და 325-ე მუხლებით, რომელიც ძალაში 1965 წლის პირველი იანვარიდან, ასევე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინაო კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე და 45-ე მუხლებით, რომელიც ძალაში შევიდა 1982 წლის პირველი იანვრიდან და მთელი რიგი ცვლილებები შეეტანა კანონის ზემოთ აღნიშნულ ნორმებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1981 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულების პირველი მუხლით დაადგინა: „ვიდრე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მოყვანილი იქნება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისობაში, სამინაო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედი აქტები გამოიყენება, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან საფუძვლებს. ამასთან საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებამდე გამოცემული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტები იმ საკითხებზე, რომლებიც საფუძვლებით განკუთვნილია სსრ კავშირის გადგებლობისადმი, ინარსრუნებენ ძალას, შესაბამისი საერთო-საკავშირო აქტების გამოცემამდე".

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმების მიხედვით უნდა განვიხილოთ ორი საკითხი, პირველი, რა უფლებით სარგებლობენ მოქალაქეები, რომელსაც ბინები დაუნგრიეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და ორგანიზაციის მორის კანონსაწინააღმდეგო ხელშეკრულების დადება სანიტარიულ ნორმაზე ზედმეტი ფართობის მიღების შესახებ.

კანონით დადგენილი ნორმით ბინა მიეცემათ დამქირავებელს და მისი ოჯახის წევრებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს ცხოვრობდნენ ისინი დასანგრევ სახლში. თუ დასანგრევი სახლი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრებაა, ბინადან გამოსახლებულს სამაბინადოდ საცხოვრებელი უნდა მიეცეს იმ სახელმწიფო, კოოპერაციულმა ან საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც მიწის ნაკვეთი გამოეყო. თუ ასაღები სახლი, რომელიც მოქალაქის პირად საკუთრებას შეადგენს, გასახლებულ პირს სხვა ბინა უნდა მისცეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღასრულებელმა კომიტეტებმა. კატეგორიულად აღარ ალაგება პრაქტიკა, როცა კოოპერაციული ბინათმშენებლობის დროს ასაღებ ბინაში მცხოვრებთა დაკმაყოფილებას ავალებდნენ კოოპერატივის წევრებს და ამით ეკიდებოდა კოოპერაციული ბინათმშენებლობა, რაც ზიანს აყენებდა კეთილსინდისიერ კოოპერაციულ ბინათმშენებელს.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა კანონი იცავს მოქალაქის პირად საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას და მესაკუთრის სახლის დანგრევის შემთხვევაში სახელმწიფო უზრუნველყოფს სამაგირო ანაზღაურებას. სახლის მესაკუთრე უფრო ადვილად ეგუება ასეთ ფაქტს, როცა მას საშუალ სახელმწიფოსთან აქვს და არა ცალკეულ ორგანიზაციებთან.

მეორე საკითხია, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის გამოყოფასთან დაკავშირებით უნდა დაინგრეს მოქალაქის პირადი საკუთრების სახლი, ასეთ შემთხვევაში სახლის მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრებს ორივეს უფლება აქვთ: მეუძლიათ მოითხოვონ სამაგირო ბინა, ან სახლის ღირებულება, ან მიწის ნაკვეთის გამოყოფა და სახლის გადატანა, თუკი იმ დასახლებულ პუნქტში ინდივიდუალური ბინათმშენებლობა აკრძალული არ არის. თუ სახლის მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებმა მოითხოვეს სახლის ღირებულება, ისინი მიიღებენ რეალურ ღირებულებას, მიუხედავად იმისა, მესაკუთრე და მისი ოჯახის წევრები აირჩევენ სამაგიერო ბინას თუ მის ღირებულებას, მათ მიეცემათ სახლის დანგრევის შედეგად დარჩენილი სამენი მასალა ან შეუძლიათ მოითხოვონ ამ მასალის ღირებულება. სწორი არ არის როცა ზოგიერთები გამბარტავენ, თითქოს მესაკუთრეს ჰქონდეს უფლება ერთსა და იმავე დროს მიიღოს ბინაც და სახლის ღირებულებაც.

თუ მესაკუთრეები მიიღებენ სახლის ღირებულებას, ალმასკომის ორგანოები ვალდებულნი არიან ყოფილი სახლის მესაკუთრენი შეიყვანონ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში რიგგარეშე, თუ ბინა არ გაანნოთ. მათი კუთვნილი დასანგრევი საცხოვრებელი სახლები ნაგებობანი შეუძლიათ გადაიტანონ და აღადგინონ ახალ ადგილზე. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადატანილი სახლები მათს საკუთრებად რჩება და ღირებულება არ აუნაზღაურდებათ. სახლების სხვა ადგილზე გადატანა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობა აკრძალული არ არის. თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ინგრევა საავტაკო სახლი ან სამეგზავრო სახლი, რომელიც მოქალაქის მუდმივ საცხოვრებელს არ წარმოადგენს და იყენებ ა მხოლოდ დასასვენებლად, საგარაჟო დანიშნულებისათვის, მესაკუთრეს აუნაზღაურდება მხოლოდ და მხოლოდ ღირებულება და მიეცემა ნარჩენი საშენი მასალა ან მისი ღირებულება და სამაგიერო ბინის მოთხოვნის უფლება არა აქვს.

კიბერტეტიკის ინსტიტუტის აღგილკომის თავმჯდომარეს ამხ. ბ. ბახტაძეს ინტერესებს, რა ღროიდან ჩაითვლებიან მოქალაქენი ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანილად და რა ნორმით უნდა დაკმაყოფილდნენ ბინის აღრიცხვაზე მყოფი პირები.

თბილისში საცხოვრებელი ბინების განაწილების შესახებ ფებუერვალის 22-ე მუხლის საფუძველზე, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის თარიღად საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჩაითვლება ბინის მისაღებად მოქალაქის აღრიცხვაზე აყვანის შესახებ ადგილკომისა და ადმინისტრაციის ერთობლივი დადგენილების თარიღი, თუ მას დამტკიცებს ალმასკომის ორგანიზებები. ალმასკომის ორგანოებში ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთათვის კი აღრიცხვის თარიღად ჩაითვლება ბინის მისაღებად მოქალაქის აღრიცხვაზე აყვანის შესახებ ალმასკომის დადგენილების თარიღი. ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრები თითოეულ სულზე მიიღებენ ბინის სანიტარიულ ნორმას ანუ 12 კვადრატულ მეტრ ფართობს, რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 309-ე მუხლით.

კონკრეტულ საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებით, დაუშვებელია მოქალაქეს მიეცეს კუთვნილ სანიტარიულ ნორმაზე ნაკლები ფართობი. მაგრამ კანონი არ კრძალავს მეტის მიცემას, თუ ეს გამოწვეულია სახლის მშენებლობის პროექტით. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, სანიტარიული ნორმის მინიმუმი 9 კვადრატული მეტრის ოდენობით 1962 წლიდან არის დადგენილი საკავშირო კანონმდებლობ